

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის რეგლამენტი, წესები და მოწყობის პირობები

წინამდებარე რეგლამენტი და გათამაშების მოწყობის პირობები (შემდგომში „წესები“) განსაზღვრავს გათამაშებაში მონაწილეობის, საპრიზო ფონდის გათამაშების და გამარჯვებულთა გამოვლენის ზოგად წესებებსა და კრიტერიუმებს.

1. ტერმინთა განმარტებები:

- 1.1. **ბანკი** - სს „საქართველოს ბანკი“ ს/ნ 204378869.
- 1.2. **მონაწილე** - სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომელიც ბანკში რეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური მეწარმე კლიენტი (რომელიც იდენტიფიცირებულ-ვერიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით) (გარდა წინამდებარე წესებითა და პირობებით დადგენილი გამონაკლისებისა), ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური მეწარმე, სარგებლობს **ბანკის** დისტანციური საბანკო მომსახურებით - **მობილ ბანკით** ან/და **ინტერნეტ ბანკით**, ან **გათამაშების** პერიოდში გაიაქტიურებს **ბანკის** დისტანციურ საბანკო მომსახურებას - **მობილ ბანკს** ან/და **ინტერნეტ ბანკს**, და **გათამაშების** პერიოდში დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით ისარგებლებს **ბანკის** მიერ **წესების** მე-8 პუნქტით განსაზღვრული პროდუქტ(ებ)ით ან/და მომსახურებ(ებ)ით.
- 1.3. **მობილ ბანკი** - ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურება - მობილ ბანკი.
- 1.4. **ინტერნეტ ბანკი** - ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურება - ინტერნეტ ბანკი.
- 1.5. **გათამაშება** - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესებითა და პირობებით გათვალისწინებული წამახალისებელი გათამაშება.
- 1.6. **შუალედური გათამაშება** - პროცესი, რომელიც იწყება 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში ბილეთების დაგროვებიდან და მთავრდება ამ შუალედური გათამაშებისათვის განსაზღვრული პრიზების გათამაშებით.
- 1.7. **ფინალური გათამაშება** - 2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვებული ბილეთების საფუძველზე გამართული გათამაშება, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდებიან ფინალური გათამაშების **გამარჯვებულები**.
- 1.8. **ბარათი** - **ბანკის** მიერ გამოშვებული როგორც ციფრული, ასევე პლასტიკური საგადახდო სქემაში ჩართული სადებეტო ბარათი.
- 1.9. **ელექტრონული კომერცია** - ელექტრონულად/ონლაინ/ინტერნეტის გამოყენებით გადახდის ოპერაციის/ტრანზაქციის შესრულების საშუალება.

2. გათამაშების ორგანიზატორი:

- 2.1. სს „საქართველოს ბანკი“ ს/ნ 204378869.

3. გათამაშების მიზეზი

- 3.1. **გათამაშების** მოწყობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არსებული და პოტენციური მომხმარებლის წახალისება, რათა **ბანკის** დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით ისარგებლონ **ბანკის** პროდუქტ(ებ)ით ან/და მომსახურებ(ებ)ით.

4. გათამაშების მიზანი

4.1. გათამაშების მიზანს წარმოადგენს **ბანკის** დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენების გაზრდა და ამ არხების მეშვეობით **ბანკის** პროდუქტ(ებ)ით ან/და მომსახურებ(ებ)ით სარგებლობის წახალისება/გაზრდა, რითიც ხელი შეეწყობა **ბანკის** დისტანციური საბანკო მომსახურების - **მობილ ბანკისა და ინტერნეტ ბანკის** ცნობადობისა და გამოყენებადობის ამაღლებას, ასევე პოს-ტერმინალებზე და ონლაინ გადახდებით გადახდის ოპერაციების გაზრდას, რის საფუძველზეც **მონაწილეებს** აქვთ შანსი მოიგონ ღირებული პრიზები.

5. **გათამაშებაში მონაწილეობის აუცილებელი პირობები:**

5.1. **გათამაშებაში** მონაწილეობას შეძლებენ სრულწლოვანი ფიზიკური პირები, რომელიც ბანკში რეგისტრირებულები არიან როგორც ინდივიდუალური მეწარმე კლიენტი, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულები არიან როგორც ინდივიდუალური მეწარმე, სარგებლობენ **ბანკის** დისტანციური საბანკო მომსახურებით - **მობილ ბანკით** ან/და **ინტერნეტ ბანკით**, ან **გათამაშების** პერიოდში გაიაქტიურებენ ბანკის დისტანციურ საბანკო მომსახურებას - **მობილ ბანკს** ან/და **ინტერნეტ ბანკს** და **გათამაშების** პერიოდში დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით ისარგებლებენ **ბანკის** მიერ **წესების** მე-8 პუნქტით განსაზღვრული პროდუქტ(ებ)ით ან/და მომსახურებ(ებ)ით.

5.2. **გათამაშებაში** მონაწილეობას ვერ მიიღებენ და გამარჯვებულად ვერ გამოვლინდებიან:

5.2.1. არასრულწლოვანი/18 წელს მიუღწეველი პირები;

5.2.2. პირები, რომლებსაც **გათამაშების** დაწყებამდე ან/და მისი მიმდინარეობის პერიოდში შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ დაუდგინდათ შეზღუდვა (სანქცია) საბანკო მომსახურების მიღებასთან ან/და საბანკო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებით;

5.2.3. იურიდიული პირ(ებ)ი, ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.

6. **პროდუქციის/მომსახურების აღწერა**

6.1. **ბანკი** მომხმარებლებს სთავაზობს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით საბანკო საქმიანობის ფარგლებში დადგენილ შემდეგ მომსახურებებს:

ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

გ) დერივატივის დადება, საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

დ) ნაღდი და უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;

- ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- ე1) უპროცენტო საბანკო მომსახურება;
- ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- ზ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- თ) ფასეულობათა (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) შენახვა და აღრიცხვა, მათ შორის, ანგარიშის მწარმოებლის ფუნქციის შესრულება;
- ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- ი1) სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ი2) ქონების იჯარით გაცემა;
- ი3) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- ი4) ქონების ლიზინგით გაცემა;
- კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;
- ლ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა და ამ მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა.

ბანკი ა) დ) ე) და ვ) ქვეპუნქტებში აღწერილი მომსახურების ფარგლებში, ახორციელებს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ტიპის ბარათის ემისიას, პროცენტის და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვას და ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელებას.

გათამაშება უკავშირდება ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით ბანკის პროდუქტ(ებ)ითა და მომსახურებ(ებ)ით სარგებლობას, მათ შორის გადახდის ოპერაციების მომსახურებას, უნაღდო ანგარიშსწორების მომსახურების განხორციელებასა და მიმოქცევის ორგანიზებას, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში.

7. გათამაშებაში ჩართვის წესი

- 7.1. გათამაშებაში ჩართვა ხდება ავტომატური გზით, მონაწილის მიერ გათამაშების წესების მე-8 პუნქტით განსაზღვრული საბანკო პროდუქტ(ებ)ით ან/და მომსახურებ(ებ)ით სარგებლობის საფუძველზე და სარგებლობისთანავე.
- 7.2. გათამაშებაში მონაწილეობას იღებს ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს წესებით დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს და რომელიც ბანკის დისტანციური საბანკო

მომსახურების მეშვეობით ისარგებლებს **ბანკის** მიერ **წესების** მე-8 პუნქტით განსაზღვრული პროდუქტ(ებ)ით ან/და მომსახურებ(ებ)ით.

- 7.3. **გათამაშებაში** მონაწილეობის მიღება შესაძლებელია როგორც **გათამაშების** (მათ შორის შუალედური გათამაშების) დაწყებისთანავე, ასევე **გათამაშების** მიმდინარეობისას მის დასრულებამდე.
- 7.4. იმ შემთხვევაში თუ მონაწილე **გათამაშებაში** (მათ შორის შუალედურ გათამაშებაში) ჩაერთვება **გათამაშების** დაწყების შემდგომ მის დასრულებამდე პერიოდში, მის სახელზე ბილეთების რაოდენობის გენერირება დაიწყება დროის იმ მომენტიდან, როდესაც ის ჩაერთო **გათამაშებაში** წინამდებარე წესების დაცვით.

8. გათამაშების ბილეთების დაგროვების წესი

8.1. **გათამაშებაში** მონაწილეობას იღებს და ბილეთები დაგროვდება შემდეგ შემთხვევებში:

- 8.1.1. **ბანკის** მიერ გამოშვებული **ბარათის** საშუალებით საქონლის/მომსახურების შესაძენად, პოს-ტერმინალზე ან **ელექტრონულ კომერციაში/ონლაინ** განხორციელებული წარმატებული გადახდის ოპერაცია, გარდა წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული გამონაკლისებისა (შემდგომში - **ტრანზაქცია** ან **გადახდის ოპერაცია**) - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 1 (ერთი) ბილეთს.
- 8.1.1.1. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, 1 (ერთი) კალენდარული თვის ჭრილში ბილეთები დაგროვდება არაუმეტეს 30 (ოცდაათი) **ტრანზაქციის** შესრულების შემთხვევაზე.
- 8.1.1.2. **ტრანზაქციის** შესრულების შედეგად დაგენერირებული ბილეთ(ებ)ი **გათამაშებაში** მონაწილეობას მიიღებს **მონაწილის მობილ ბანკში/ინტერნეტ ბანკში** შესვლის (ავტორიზაციის) შემთხვევაში.
- 8.1.2. **მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით **ბარათის** შეკვეთის ოპერაცია - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 20 (ოცი) ბილეთს.
- 8.1.3. **მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით შეგროვებადი/ვადიანი/მოთხოვნამდე ანაზრის გახსნა - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 20 (ოცი) ბილეთს.
- 8.1.3.1. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, 1 (ერთი) კალენდარული თვის ჭრილში ბილეთები დაგროვდება არაუმეტეს 2 (ორი) შეგროვებადი/ვადიანი/მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის გახსნის შემთხვევაზე.
- 8.1.4. **მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით **ბანკის** სისტემაში/**ბანკის** სისტემის გარეთ მესამე პირის ანგარიშზე ქართული ლარის გადარიცხვის ოპერაცია - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 2 (ორი) ბილეთს.
- 8.1.4.1. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, 1 (ერთი) კალენდარული თვის ჭრილში ბილეთები დაგროვდება არაუმეტეს 10 (ათი) გადარიცხვის ოპერაციაზე.
- 8.1.5. **მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით **ბანკის** სისტემაში/**ბანკის** სისტემის გარეთ მესამე პირის ანგარიშზე უცხოური ვალუტის გადარიცხვის ოპერაცია - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 15 (თხუთმეტი) ბილეთს.
- 8.1.6. **მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით ხაზინაში გადარიცხვის ოპერაცია - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 10 (ათი) ბილეთს.
- 8.1.7. **მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით ანაზრზე თანხის დამატება - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 2 (ორი) ბილეთს.
- 8.1.7.1. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, 1 (ერთი) კალენდარული თვის ჭრილში ბილეთები დაგროვდება ანაზრზე თანხის დამატების არაუმეტეს 5 (ხუთი) ოპერაციაზე.

- 8.1.8. **მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით კონვერტაცია - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 5 (ხუთი) ბილეთს.
- 8.1.8.1. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, 1 (ერთი) კალენდარული თვის ჭრილში ბილეთები დაგროვდება არაუმეტეს 10 (ათი) კონვერტაციის ოპერაციაზე.
- 8.1.9. **მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით კომუნალური მომსახურების გადასახადის გადახდის ოპერაცია - თითოეული მსგავსი ტიპის ოპერაციაზე **მონაწილე** დააგროვებს 2 (ორი) ბილეთს.
- 8.1.9.1. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, 1 (ერთი) კალენდარული თვის ჭრილში ბილეთები დაგროვდება არაუმეტეს 10 (ათი) გადახდის ოპერაციაზე.
- 8.1.10. **მობილ ბანკში** ან/და **ინტერნეტ ბანკში** პირველი შესვლა (ავტორიზაცია) თუ **მონაწილეს მობილ ბანკში** ან/და **ინტერნეტ ბანკში** ბოლო შესვლა (ავტორიზაცია) უფიქსირდება 2024 წლის 01 სექტემბრამდე - **მონაწილე** ერთჯერადად დააგროვებს 50 (ორმოცდაათი) ბილეთს.
- 8.2. წინამდებარე **წესების** შესაბამისად განხორციელებულ ყოველ **ტრანზაქციას** და **წესების** მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ოპერაციას **ბანკი** ანიჭებს უნიკალურ კოდს, რის საფუძველზეც ხდება ბილეთების დაგროვება უნიკალური კოდის სახით.
- 8.3. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე დოკუმენტის 5.1. პუნქტით, გათამაშებაში მონაწილეობისათვის გათვალისწინებული აუცილებელი პირობებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს **მობილ ბანკით** ან/და **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობას, **გათამაშების მონაწილისათვის** ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია მის მიერ დაგროვებული ბილეთების რაოდენობის შესახებ **ბანკის მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** სივრცეში.
- 8.4. **გათამაშების** ბილეთების დაგროვება მოხდება ყოველთვიური დათვლის პრინციპით, 1 (ერთი) თვის ჭრილში, თვის პირველი დღის 00:00:01 საათიდან თვის ბოლო დღის 23:59:59 საათის ჩათვლით **გათამაშებაში** მონაწილე **ბარათის** საშუალებით განხორციელებული **ტრანზაქცი(ებ)ის** და **წესების** მე-8 პუნქტით განსაზღვრული ოპერაცი(ებ)ის შესრულების საფუძველზე.
- 8.5. ყოველი **შუალედური გათამაშების** მიმდინარეობისას, მოხდება ბილეთების ხელახალი დაგროვება, მიმდინარე თვის (შუალედური გათამაშების პერიოდის) განმავლობაში შესრულებული **ტრანზაქციების** და **წესების** მე-8 პუნქტით განსაზღვრული ოპერაცი(ებ)ის შესრულების საფუძველზე, რომელიც აითვლება 0 (ნული)-დან.
- 8.6. ყოველ **შუალედურ გათამაშებაში** მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ კონკრეტული **შუალედური გათამაშების** ფარგლებში დაგროვებული ბილეთები.
- 8.7. **ფინალურ გათამაშებაში** მონაწილეობას მიიღებს ჯამურად ყველა **შუალედური გათამაშების** ფარგლებში დაგროვებული ბილეთები.
9. **ბილეთების დაგროვების შეზღუდვა (გამონაკლისები)/ გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს (ბილეთები არ დაგროვდება) შემდეგი გადახდის ოპერაციები:**
- 9.1. აზარტული თამაშების მიმწოდებლის სასარგებლოდ განხორციელებული ტრანზაქციები.
- 9.2. თანხის განაღდება;
- 9.3. საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბანკის პოლიტიკით/პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი უკანონონო გადახდის ოპერაციები.
10. **გათამაშების ჩატარების პერიოდი**
- 10.1. **გათამაშების** შედგება 3 (სამი) **შუალედური** და 1 (ერთი) **ფინალური გათამაშებისგან:**
- 10.1.1. **გათამაშების** სრული პერიოდი იწყება 2024 წლის 01 ოქტომბერს 00:00:01 საათიდან და გრძელდება 2025 წლის 13 იანვრის 15:00 საათის ჩათვლით.

- 10.1.2. პირველი შუალედური გათამაშებისათვის ბილეთების დაგროვების პერიოდია 2024 წლის 01 ოქტომბრის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 31 ოქტომბრის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო პირველი შუალედური გათამაშების გამარჯვებულებისათვის განკუთვნილი პრიზები გათამაშდება 2024 წლის 06 ნოემბრის 15:00 საათზე.
- 10.1.3. მეორე შუალედური გათამაშებისათვის ბილეთების დაგროვების პერიოდია 2024 წლის 01 ნოემბრის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 30 ნოემბრის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო მეორე შუალედური გათამაშების გამარჯვებულებისათვის განკუთვნილი პრიზები გათამაშდება 2024 წლის 06 დეკემბრის 15:00 საათზე.
- 10.1.4. მესამე შუალედური გათამაშებისათვის ბილეთების დაგროვების პერიოდია 2024 წლის 01 დეკემბრის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო მესამე შუალედური გათამაშების გამარჯვებულებისათვის განკუთვნილი პრიზები გათამაშდება 2025 წლის 6 იანვარს 15:00 საათზე.
- 10.1.5. ფინალური გათამაშებისთვის ბილეთების დაგროვების პერიოდია 2024 წლის 01 ოქტომბრის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო ფინალური გათამაშების გამარჯვებულებისათვის განკუთვნილი პრიზები გათამაშდება 2025 წლის 13 იანვარს 15:00 საათზე.

11. გათამაშების საპრიზო ფონდი:

11.1. გათამაშების პრიზები და მათი ღირებულებები:

ფულადი პრიზის ღირებულება - ლარი	პრიზების რაოდენობა
50	2550
100	1005
200	150
500	18
10000	3
20000	1
30000	1
50000	1

საპრიზო ფონდის ჯამური ღირებულება - 496 250 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამემოსავლო გადასახადს.

გათამაშების ჭრილში გამოვლინდება 3729 (სამი ათას შვიდას ოცდაცხრა) გამარჯვებული ბილეთი.

12. გათამაშების ჩატარების ფორმა და წესი

- 12.1. გათამაშების მიმდინარეობისას, ბანკის მასშტაბით შეიქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს გათამაშების ჩატარებას/საპრიზო ფონდის გათამაშებას, წამახალისებელი

გათამაშების მოწყობას წინამდებარე წესებისა და პირობების (რეგლამენტის) დაცვით და მათ შესაბამისად.

- 12.2. **გათამაშება** ჩატარდება სისტემურ-ელექტრონული ფორმით.
- 12.3. **მონაწილის** მიერ განხორციელებულ თითოეულ **გადახდის ოპერაციას** და **წესების** მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ოპერაციებს მიენიჭება უნიკალური კოდი, რომელიც გენერირდება ინდივიდუალურად და დაიდენტიფიცირდება გამარჯვებულის გამოვლენის მიზნებისთვის.
- 12.4. **გათამაშების** გამარჯვებულები გამოვლინდებიან **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, რომელიც იყენებს Oracle -ის შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებულ ფუნქციას: dbms_random.value.
- 12.5. **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფა ახდენს დაგენერირებული უნიკალური კოდების თავმოყრას და შემთხვევითობის პრინციპით გამოავლენს მათგან რამდენიმეს, რაც განაპირობებს გამარჯვებული **მონაწილეების** გამოვლენას.
- 12.6. გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ყოველთვიურად, **შუალედური გათამაშების** /1 (ერთი) კალენდარული თვის ჭრილში დაგროვებული ბილეთების საფუძველზე. ხოლო **ფინალური გათამაშების** გამარჯვებულები გამოვლინდებიან გათამაშების დაწყებიდან 3 (სამი) კალენდარული თვის, კერძოდ ჯამურად ყველა **შუალედური გათამაშების** ფარგლებში დაგროვებული ბილეთების საფუძველზე.
13. **გათამაშების ჩატარების ადგილი**
- 13.1. გათამაშების ჩატარების ადგილია სს საქართველოს ბანკის სათავო ოფისი, სადაც განთავსებულია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულებს: მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. გაგარინის 1. N 29ა
14. **გამარჯვებულის გამოვლენა**
- 14.1. **პირველი შუალედური გათამაშებისათვის** გამოვლინდება 1242 (ათას ორას ორმოცდაორი) გამარჯვებული.
- 14.2. **მეორე შუალედური გათამაშებისათვის** გამოვლინდება 1242 (ათას ორას ორმოცდაორი) გამარჯვებული.
- 14.3. **მესამე შუალედური გათამაშებისთვის** გამოვლინდება 1242 (ათას ორას ორმოცდაორი) გამარჯვებული.
- 14.4. ყოველი **შუალედური გათამაშებისთვის** გასათამაშებელი პრიზების რაოდენობა ცხრილის სახით:

ფულადი პრიზის ოდენობა ლარებში	10000	500	200	100	50
პირველი შუალედური გათამაშების ფარგლებში გასათამაშებელი პრიზების ოდენობა	1	6	50	335	850
მეორე შუალედური გათამაშების ფარგლებში გასათამაშებელი პრიზების ოდენობა	1	6	50	335	850
მესამე შუალედური გათამაშების ფარგლებში გასათამაშებელი პრიზების ოდენობა	1	6	50	335	850

- 14.5. ყოველი **შუალედური გათამაშებისთვის** გასათამაშებელი პრიზები გათამაშდება პრიზების ღირებულების კლებადობის პრინციპით, ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე პრიზიდან ყველაზე მცირე ღირებულების პრიზამდე.

- 14.6. **ფინალური გათამაშებისათვის** გამოვლინდება 3 (სამი) გამარჯვებული.
- 14.7. **ფინალური გათამაშებისთვის** გასათამაშებელი პრიზების რაოდენობა ცხრილის სახით:

ფულადი პრიზის ოდენობა ლარებში	20000	30000	50000
ფინალური გათამაშების ფარგლებში გასათამაშებელი პრიზების ოდენობა	1	1	1

- 14.8. **ფინალური გათამაშებისთვის** გასათამაშებელი პრიზები გათამაშდება პრიზების ღირებულების კლებადობის პრინციპით, ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე პრიზიდან ყველაზე მცირე ღირებულების პრიზამდე.
- 14.9. 1 (ერთი) **მონაწილე** 1 (ერთი) **შუალედური გათამაშების** ფარგლებში შესაძლებელია გამოვლინდეს გამარჯვებულად არაუმეტეს ერთხელ.
- 14.10. გამარჯვებული **მონაწილე** შესაძლებელია გამოვლინდეს გამარჯვებულად როგორც სხვა **შუალედური გათამაშების** ფარგლებში, ისე **ფინალური გათამაშების** ფარგლებში.
- 14.11. გათამაშების მიზნებისთვის, **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **მონაწილის** მხრიდან თაღლითობის/ინტერესთა კონფლიქტის/მართლსაწინააღმდეგო/წესების დარღვევის ქმედებები და მათი შესაბამისობა წესებთან/კანონმდებლობასთან/ბანკის პოლიტიკასთან, როგორც გადახდის ოპერაციის და **წესების** მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის განხორციელებისას, ასევე მის შემდეგ გათამაშების ეტაპის დასრულებამდე.
- 14.12. ამ წესებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვება უქმდება.

15. **გამარჯვებულისათვის პრიზების გადაცემა და პრიზის გადაცემის პირობები**

- 15.1. წინამდებარე რეგლამენტის 10.1.2, 10.1.3, 10.1.4. და 10.1.5. პუნქტებით განსაზღვრულ დროს, გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, **გათამაშების წესებით** განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამარჯვებული პირის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის ან/და **წესების** მე-8 პუნქტით შესრულებული ოპერაციის უნიკალური ნომრის დაიდენტიფიცირების საფუძველზე, გამარჯვებული **მონაწილე ბანკისგან** მიიღებს მოკლეტექსტურ შეტყობინებას, გამარჯვებული **მონაწილის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე არაუგვიანეს თითოეული **შუალედური გათამაშების** და **ფინალური გათამაშების** გამარჯვებულების გამოვლენიდან მეორე დღისა.
- 15.2. მოკლეტექსტურ შეტყობინებაში მითითებული იქნება **მონაწილის** მიერ მოგებული პრიზის და მისი მიღების შესახებ დეტალები
- 15.3. პრიზის გაცემის ადგილია: **ბანკის მობილ ბანკის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** სივრცე, სადაც გამარჯვებულ **მონაწილეს** შესვლისთანავე (ავტორიზაციისთანავე) შესაბამის ფანჯარაში გამოუჩნდება შეტყობინება **გათამაშებაში** გამარჯვებასთან დაკავშირებით და აირჩევს შესაბამის საბანკო ანგარიშს, სადაც სურს, რომ მიიღოს **გათამაშებისთვის** განსაზღვრული შესაბამისი პრიზი. გამარჯვებულის მიერ შესაბამისი ანგარიშის აურჩევლობის შემთხვევაში, გამარჯვებული კუთვნილ პრიზს მიიღებს **ბანკში** არსებულ იმ ლარის ანგარიშზე, რომელზეც უფიქსირდება უკანასკნელი აქტივობა.
- პრიზის გაცემის თარიღი: გამარჯვებულისთვის პრიზის გადაცემა მოხდება **მობილ ბანკში** ან/და **ინტერნეტ ბანკში** პრიზის დაგენერირებიდან/მოკლეტექსტური შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) დღის ვადაში.

პრიზის გაცემის საერთო ვადაა, გათამაშებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

16. ზოგადი პირობები

- 16.1. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი გამარჯვებულისათვის გადაცემული პრიზის ნებისმიერი მიზეზით გამოუყენებლობაზე.
- 16.2. **გათამაშების** მოწყობის **წესები** და პირობები არის საჯაროდ გამოქვეყნებული და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე - www.bankofgeorgia.ge

17. პრეტენზიების მიღებისა და განხილვის წესი

- 17.1. **გათამაშების** ფარგლებში პრეტენზიები მიიღება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში თითოეული **შუალედური გათამაშების** ან/და **ფინალური გათამაშების** დასრულებიდან, რომელთან დაკავშირებითაც **მონაწილე** გამოთქვამს პრეტენზიას
- 17.2. პრეტენზია მიიღება წერილობითი ფორმით სს „საქართველოს ბანკის“ ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი მუხრან მაჭავარიანის ქ. N 7. ყოველი სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
- 17.3. მიღებულ პრეტენზიას განიხილავს ბანკის მასშტაბით გათამაშების მიზნებისთვის შექმნილი სპეციალური კომისია, ხოლო მიღებულ პრეტენზიაზე კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას და იმავე ფორმით აცნობებს პრეტენზიის წარმდგენს არაუგვიანეს პრეტენზიის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- 17.4. გათამაშებაში მონაწილე პირსა და **ბანკს** შორის გათამაშებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუთანხმებლობა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 17.5. **გათამაშების** მოგებათა ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება არა უგვიანეს როგორც თითოეული შუალედური გათამაშების დასრულებიდან, ასევე გათამაშების სრული პერიოდის დასრულებიდან 3 კალენდარული დღისა, ბანკის ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.